ადამიანმა არ უნდა აღასრულოს ლოცვა (ის სრულფასოვანი არ იქნება) არც მაშინ, როცა საჭმელი მოტანილია, და არც მაშინ, როდესაც ის იკავებს თავს დიდი ან მცირე საჭიროების დაკმაყოფილებისგან

გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) ამბობდა: «ადამიანმა არ უნდა აღასრულოს ლოცვა (ის სრულფასოვანი არ იქნება) არც მაშინ, როცა საჭმელი მოტანილია, და არც მაშინ, როდესაც ის იკავებს თავს დიდი ან მცირე საჭიროების დაკმაყოფილებისგან».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა ლოცვა იმ დროს, როცა მის წინ საჭმელია, რომელიც მლოცველს გულმოდგინედ სურს რომ მიირთვას და მისი გული მასზეა დაკავშირებული. ასევე აკრძალა ლოცვა, როცა ადამიანი იძულებულია შეიკავოს შარდი და განავალი, რადგან ის აწუხებს მას და ყურადღებას უფანტავს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3088